საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3077/01
26/03/2021

3077-01-2-202103261756

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს"
მის: თბილისი, 300 არაგველის N24
ელ.ფოსტა: info.sgp@socar.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 12 მარტის N4328 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ფოთსა და ქ. თბილისში ავტოგასამართი სადგურების (ნავთობპროდუქტების საცავი) ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ აღნიშნული ავტოგასამართი სადგურები მოწყობილია 2018 წლის 1 იანვრამდე. კერძოდ: ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩაზე არსებული ობიექტი ფუნქციონირებს 2011 წლიდან, ხოლო ქ. ფოთში, აღმაშენებლის ქუჩაზე - 2008 წლიდან. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც არ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებს, არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმიანობებზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები.

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტზე ნავთობით დაბინძურებული წყლის წარმოქმნას ადგილი არ ჰქონია, თუმცა არსებობს ამის რისკები, შესაბამისად დაგეგმილია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლის გამწმენდი დანადგარების მოწყობა. გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-10 პუნქტის 10.6. ქვეპუნქტის თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს გამწმენდი დანადგარის ტიპი, ტექნიკური მახასიათებლები, წარმადობა, გაწმენდის ეფექტურობა და ტექნოლოგიური სქემები, ასევე ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლის წარმოქმნის საკითხი.

დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ავტოგასამართი სადგურებისთვის შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" მიერ 2016 წლის 12 იანვარს მოქმედების ხუთწლიანი

ვადით, სამინისტროსთან შეთანხმებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშები, რომელთაც 2021 წლის 12 იანვარს გაუვიდა მოქმედების ვადა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა მოხდეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის განახლებული ტექნიკური ანგარიშების სამინისტროსთან შეთანხმება.

ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტების გარეშე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე